პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 66 (1892) ○ ხუთშაბათი, 4 ივნისი, 1959 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



„საბჭოთა აფხაზეთის“ ჯილდოზე

სოხუმში ყოველწლიურად ეწყობა კომბინირებული ესტაფეტა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ჯილდოზე.

ამას წინათ ქალაქის ქუჩებში, ზღვაზე და თბილისის გზატკეცილზე ერთმანეთს ეჯიბრებოდა სოხუმის 11 უძლიერესი გუნდი, რომელთა შორის იყვნენ გასული წლის ესტაფეტაში გამარჯვებული „დინამოს“, აგრეთვე „ლოკომოტივის,“ „განთიადის“, ბავშვთა სპორტული სკოლისა და სხვათა წარმომადგენლები

პირველ ეტაპზე (რბენა 400 მეტრზე) გაიმარჯვა „დინამოს“ პირველი გუნდის წევრმა ვ. ლენსკიმ. მან ესტაფეტა გადასცა ნიჩბოსანს, რომელმაც იგი „ლოკომოტივის“ საწყლოსნო სადგურის მიმართულებით წაიღო. აქ ესტაფეტა მიიღო ველოსიპედისტმა. ამასობაში სხვაობა მანძილში სულ უფროდაუფრო იზრდებოდა ლიდერის სასარგებლოდ.

...მრავალრიცხოვანი მაყურებლების ტაშის გრიალში გამოჩნდა გოგონა. ეს იყო ესტაფეტის უკანასკნელი ეტაპი, რომელიც პირველმა დაამთავრა დინამოელმა მ. კრაინიუკოვამ. მეორე ადგილზე გამოვიდა ამავე საზოგადოების მეორე გუნდი, მესამეზე — № 6 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი.

ვ. სემიონოვი



• • •

სურათებზე: ზევით—ნიჩბოსნები იღებენ ამანათს. ქვევით ნავი ვერ მოადგა ნაპირს, ამიტომ სპორტსმენი გადახტა წყალში, გამოვიდა ნაპირზე და ამანათი გადასცა ველოსიპედისტს.

საქართველოს ჩოგბურთელთა წარმატება

ლენინგრადში დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, უნგრეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

ფინალში პირველი ადგილებისათვის იბრძოდნენ მხოლოდ საბჭოთა ჩოგბურთელები. ვაჟთა შორის უძლიერესის სახელისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები ესტონელი ლეიუსი და ლენინგრადელი პოტანინი. გამარჯვება მოიპოვა პირველმა — 6:0, 6:2, 6:3. ქალთა შორის საინტერესო ბრძოლა გაიმართა თბილისელ რიაზანოვასა და მოსკოველ დმიტრიევას შორის, შეხვედრა დამთავრდა მოსკოველის გამარჯვებით. თბილისელი სპორტსმენი აბაანდაძე მეოთხე ადგილზეა.

ქალთა წყვილებში ყველას აჯობეს რიაზანოვა-დმიტრიევამ, რომელთაც დაამარცხეს ლინდრე-აბაანდაძე. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო წყვილი ლეიუს-ლიხაჩოვი. შერეულ წყვილთა შორის წარმატება მოიპოვეს რიაზანოვა-ლეიუსმა, რომლებმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს დმიტრიევა-ლიხაჩოვს.

სპორტული სიჩაუქე

სპორტული შეჯიბრება შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ — საზეიმო და საქმიანი ნაწილი. საზეიმო ნაწილში შედის შეჯიბრების გახსნა და დახურვა, ხოლო საქმიან ნაწილში—თვით შეჯიბრება. შეიძლება ბევრსა ჰგონია, რომ შეჯიბრებაში მთავარია მხოლოდ მისი შედეგები. ეს რასაკვირველია, მართალია, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყდეს მისი სანახაობითი მხარეც, რომ შედეგების ფასი ერთიორად იზრდება, როცა შეჯიბრება მთლიანად კარგადაა ორგანიზებული, როცა სპორტსმენი მაღალ შედეგებთან ერთად სპორტულ სიჩაუქესაც ავლენს.

აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ასეთი სურათი. შეჯიბრების გახსნის პარადი დაიწყო, სპორტსმენები გამოდიან აჭრელებული, მოურგებელი ფორმით, მოდიან დუნედ, არეული რიგებით, ფეხს ვერ აყოლებენ მუსიკას. განკარგულებანი „სწორება“, „სმენა“, „დროშაზე სწორდი“ — ამაოდ გაისმის. განა შეიძლება ასე წარსდგნენ შეჯიბრების მონაწილენი მსაჯთა და მაყურებელთა წინაშე? რასაკვირველია არა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ სურათს ხშირად ვხედავთ ხოლმე.

ამას წინათ მოეწყო აფხაზეთის საოლქო სპარტაკიადის გახსნა. სამწუხაროდ, კარგად მოფიქრებული ამბავი ცუდი ორგანიზაციის გამო მაყურებლამდე არ მივიდა. როგორც ეტყობა, აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამწყობრო მომზადებას. პარადის მონაწილენი ფეხშეუწყობლად, არეული რიგებით მოემართებოდნენ ტრიბუნისაკენ, თავისუფალი ვარჯიში, რომელიც გაურკვეველი მელოდიის ქვეშ ტარდებოდა, არ იყო კარგად მომზადებული.

შორს რომ არ წავიდეთ, ამას წინათ დედაქალაქში გაიხსნა მოსწავლეთა XI რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. მჭიდრო, ლარივით სწორი რიგებით მოდიოდნენ ტანმოვარჯიშეები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოცურავეები და... ამ მიმზიდველ სანახაობაში დისონანსი შეიტანა ჩოგბურთელთა კოლონამ. რიგები არეული, ტანისამოსი მოურგებელი, ჩოგნები ზოგს მხარზე დაედო, ზოგს კი იღლიაში. სპარტაკიადის გახსნაზე დამსწრე სპორტის სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ჩოგბურთელთა მწვრთნელებს მხედველობიდან გამორჩათ მომავალი თაობის ფიზიკურად სწორად აღზრდის ერთი მთავარი ფაქტორი — სამწყობრო მომზადება, სიჩაუქის თვისებათა გამომუშავება.

შევეკითხოთ გამოცდილ სპეციალისტებს, საიდან იწყებდნენ ისინი სპორტსმენის აღზრდას? რა თქმა უნდა, სამწყობრო მომზადებიდან. „მწყობრი წმინდა ადგილია“ — ეუბნებიან ისინი თავიანთ აღსაზრდელებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სწორება არ დაეცვათ რიგებში, ფეხი აერიათ, მომჩვარული ან მოურგებელი ფორმით გამოსულიყვნენ შეჯიბრებათა გახსნაზე სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. რცხილაძე, ა. ჯორჯაძე, ნ. თაყაიშვილი და სხვანი.

დიახ, მწყობრი წმინდა ადგილია. სამწყობრო მომზადება სპორტსმენთა აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ნურვინ იფიქრებს, რომ სამწყობრო მომზადება მხოლოდ მაშინ უნდა დავიწყოთ, როცა რაიმე შეჯიბრება მოახლოვდება. სამწყობრო ჩვევები ადრეულ ასაკში უნდა გამომუშავდეს, თანდათან განვითარდეს. ყველა მწვრთნელი მეცადინეობის დაწყებამდე 10-15 წუთს სამწყობრო მომზადებას რომ დაუთმობდეს, კარგად რომ შეაგნებინებდეს მწყობრის ვალდებულებას, უფრო დისციპლინირებული სპორტსმენები გვეყოლება.

მიმდინარე თვის პირველ ნახევარში თბილისში აღიმართება საქართველოს II სპარტაკიადის ალამი. შეჯიბრების გარდა განზრახულია მოეწყოს გრანდიოზული სადღესასწაულო ნაწილი — სპორტსმენთა საზეიმო სვლა, მასობრივი ვარჯიშები და სხვ. მაშასადამე, გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობის გარდა საჭიროა ჯეროვანი უურადღება მიექცეს პარადს, ე. ი. სპორტული დელეგაციის სამწყობრო მომზადებას, სპორტულ ტანსაცმელს. თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებმა „დინამოს“ სტადიონის დასავლეთ ტრიბუნას უნდა ჩაუარონ მწკრივებისა და რიგების ზუსტი დაცვით, ფეხშეწყობილად, ლამაზად მორგებულ ფორმებში. უნდა ჩაუარონ ისე, რომ დედაქალაქის მშრომელებმა იგრძნონ, დაინახონ თუ ვინ დაიცავს საქართველოს ხელს მოძმე რესპუბლიკების დელეგაციებთან სპორტულ ბრძოლაში ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში.



მოსკოვის სასროლეთზე დინამოელმა ვ. ევდოკიმოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლილა სროლაში გაიმეორა ინგლისელი ოკლის მსოფლიო რეკორდი, ევდოკიმოვმა 400 შესაძლებლიდან 396 ქულა მოაგროვა.

სურათზე: ვ. ევდოკიმოვი ცეცხლის ხაზზე.

ფოტო ნ. კულეშოვისა.

ზეიმი ჯუშინოში

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის 52-ე გენერალურ კონფერენციას, რომელიც მოსკოვში გაიმართა, მიეძღვნა ახალგაზრდა ავიატორთა სპორტული დღესასწაული. იგი გაიმართა ტუშინოს აეროდრომზე.

ზეიმის დაწყების წინ ჰაერში აიჭრა ვერცხლისფერი ბირთვი სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის ალმით, შემდეგ ცაში გამოჩნდა 6 მცირეძრავიანი თვითმფრინავი იაკ-12, რომლებსაც მომგრეებული ჰქონდათ დიდი ტილო წარწერით — „ავიაცია უნდა ემსახურებოდეს ხალხებს მშვიდობის მიზნებისათვის“. შემდეგ დაიწყო პლანერისტთა გამოსვლები, სადაც სპორტის ოსტატმა ვ. რიჟკოვმა აჩვენა პილოტაჟის უმაღლესი კლასი.

ზეიმის მონაწილეებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ შექმნილი გიგანტური ვერტმფრენი მი-6 და „მფრინავი ვაგონი“ იაკ-24. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მფრინავი სპორტსმენის ფ. ბელუშკინის აკრობატულმა გამოსვლამ. შესანიშნავი სანახავი იყო „საჰაერო ფეხბურთი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იაკ-8 კონსტრუქციის თვითმფრინავებმა სპორტის ოსტატების ა. მასლოვისა და ვ. შახინის ხელმძღვანელობით. შემდეგ ჰაერში გამოჩნდნენ მძიმე საჰაერო ხომალდები ან-10, ილ-18 და ტუ-104 ბ.

ზეიმის მესამე განყოფილება დაეთმო პარაშუტისტთა გამოსვლებს.

საერთაშორისო მატჩები

ამ დღეებში გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო მატჩი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის გუნდებმა.

მას შემდეგ, რაც ინგლისის პირველი ლიგის პროფესიულმა გუნდმა „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ მოსკოვში დამარცხება მიაყენა ტორპედოელებს (1:0), ინგლისელებმა ითამაშეს კიევში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. მატჩი მიმდინარეობდა მეტად დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა კვლავ სტუმრების სასარგებლოდ — 2:1. აღსანიშნავია, რომ კიეველთა კარში ორივე ბურთი გაიტანა ბრუკსმა.

ორი შეხვედრა ჩაატარა ჩვენს ქვეყანაში პრაღის „დინამომ“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში მე-4 ადგილზე იმყოფება. სტუმრებმა გაიმარჯვეს როსტოვში, ადგილობრივ არმიელთა გუნდთან — 1:0 და განიცადეს დამარცხება კიშინიოვის „მოლდოვასაგან“—0:3.

პოლონეთის გუნდი „უნია“ ზაპოროჟიეში შეხვდა „ბ“ კლასის ადგილობრივ გუნდს — „მეტალურგს“. 89 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა. ზუსტად თამაშის ბოლო წუთზე სტუმრებმა გაიტანეს ერთადერთი ბურთი, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება —1:0.

მოსკოვის დინამოელები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრნენ იუგოსლავიაში, სადაც პირველი შეხვედრა ჰქონდათ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“. თამაში მოიგეს იუგოსლაველებმა ანგარიშით 4:1.

ა. მერჩისონი ალარ ირბენს

როგორც ჩიკაგოდან იუწყებიან, ცნობილმა ამერიკელმა სპრინტერმა აირა მერჩისონმა გადაიტანა სერიოზული ოპერაცია მუცლის არეში. ექიმებმა განაცხადეს, რომ საეჭვოა მსოფლიო რეკორდის მფლობელმა 100 მეტრზე რბენაში კვლავ შეძლოს სარბენ ბილიკებზე გამოსვლა.

ა. მერჩისონი ჯერ მხოლოდ 26 წლისაა.

ეროვნულ სპორტაკიადაზე



ᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

წვიმიანი ამინდის მიუხედავად ნორჩმა მძლეოსნებმა საკმაოდ მაღალ შედეგებს მიაღწიეს. პირველ რიგში აღსანიშნავია თბილისელი მოსწავლის, რესპუბლიკის უძლიერესი ხუთჯიდელის ლ. იევლევას წარმატება. მის მიერ 80 მეტრზე თარჯრბენში ნაჩვენები შედეგი (11,5 წამი) მწვრთნელის ა. კონსტანტინოვისა და სპორტსმენის ერთობლივი მუშაობის შედეგია. არანაკლები წვლილი შეიტანა იევლევამ თავისი გუნდის გამარჯვებაში ესტაფეტაში 4×100 მეტრზე.

თუ მოსწავლეთა გასული წლების რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე სიმაღლეზე ხტომაში 150 სანტიმეტრი გოგონათათვის პრობლემას წარმოადგენდა, მიმდინარე სპარტაკიადაზე იგი დიდი წარმატებით გადაიკრა. თბილისის გუნდის წარმომადგენლებმა ლ. პატარიძემ (მწვრთნელი ნ. სხირტლაძე) და ნ. მაისაშვილმა (მწვრთნელი ბ. ტახტაროვი) დაძლიეს 155 სანტიმეტრი და 160 სანტიმეტრს შეუტიეს. თუ გავიხსენებთ, რომ ახლახან დამთავრებულ თბილისის საქალაქო სპარტაკიადაზე ქალთა შორის გამარჯვებულის შედეგი სიმაღლეზე ხტომაში 145 სანტიმეტრს არ აღემატებოდა, ცხადია, თუ როგორ მაღალ შედეგებს მიაღწიეს გოგონებმა.

გოგონებს არც ჭაბუკები ჩამორჩნენ და სამმა მათგანმა — ა. შავლოხოვმა (სამხრეთ ოსეთი), ტ. მდივანმა და რ. ავალიანმა (ორივე თბილისიდან) 180 სანტიმეტრამდე ასწიეს თამასა. ეს სიმაღლე მხოლოდ რ. ავალიანმა დაძლია და სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელიც მას დარჩა. მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს მდივანმა და შავლოხოვმა.

კარგი მომზადება გამოამჟღავნა აგრეთვე თბილისელმა მოსწავლემ ა. სობაკინმა (მწვრთნელი ვ. ქადეიშვილი), რომელმაც ჯერ ზუგდიდელ ლ. გეთიასთან ბრძოლაში 100 მეტრი 11,3 წამში გაირბინა, ხოლო მერე, მცირე შესვენების შემდეგ, გუნდის ინტერესებისათვის 400 მეტრზე მორბენალთა შორისაც აიღო სტარტი და არა თუ ჩასათვლელი ქულები მისცა გუნდს, არამედ ჩემპიონობაც დაისაკუთრა საკმაოდ მაღალი შედეგით — 51,7. მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ზუგდიდელი ე. სულუხია, რომელიც გამარჯვებულს 0,3 წამით ჩამორჩა.

წარუმატებლად გამოვიდნენ თბილისელი გოგონები 100 მეტრზე, ხოლო ჭაბუკები — 1500 მეტრზე რბენაში. თბილისელი გოგონა ლ. აბლიაზოვა „დაჩაგრეს“ ქუთაისელმა მ. პაპაიშვილმა და ხაშურელმა ნ. ნოზაძემ და მხოლოდ მესამე ადგილი მიუჩინეს. ჩემპიონობა მ. პაპაიშვილს დარჩა. 1500 მეტრზე რბენაში სტუმრების უპირატესობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ მასპინძელთაგან სამეულშიც კი ვერავინ მოხვდა. პირველობა წილად ხვდა ვ. პეტროსიანს (აფხაზეთი), მეორე ადგილი — მის თანაგუნდელს ვ. ზიბკოვს, ხოლო მესამე — აბაშელ მოსწავლეს ვ. ცომაიას.

შეჯიბრება ესტაფეტაში 4×100 მ როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის თბილისის გუნდების სასარგებლოდ დამთავრდა.

სასიხარულოა, რომ გასულ წლებთან შედარებით წელს შეჯიბრებაში გამოდიან მოსწავლე გოგონები სვანეთიდან და არა მარტო მონაწილეობენ, არამედ წარმატებასაც აღწევენ. მაგალითად 400 მეტრზე რბენის ფინალში მონაწილე ექვს გოგონას შორის ორი ლენტეხელი მოსწავლე იყო (ტვილდიანი და აფაქიძე).

ორი დღის შეჯიბრების შედეგად პირველ ჯგუფში დაწინაურდნენ თბილისელი მძლეოსნები. მეორე ჯგუფში ლიდერობს ზუგდიდის კოლექტივი, რომელსაც კვალდაკვალ მისდევენ ონისა და გორის გუნდები.

◆

ᲪᲣᲙᲕᲐ

გასულ წლებთან შედარებით მიმდინარე სპარტაკიადაზე თბილისელ მოცურავეებს გაცილებით ძლიერ მეტოქეობას უწევენ აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა გოგონათა შორის თბილისელმა ი. ამნიაშვილმა მოიგო. სამაგიეროდ, ჭაბუკთა შორის აფხაზეთის წარმომადგენლებმა ჟ. კობეცკოიმ და ი. გიორგობიანმა დაისაკუთრეს პირველი და მეორე ადგილები. კობეცკოის შედეგი (1.00,5) პირველი თანრიგის ნორმატივზე უკეთესია. წარმატება ხვდათ წილად აგრეთვე აფხაზეთის წარმომადგენლებს ლ. ოქრუაშვილსა და ს. გალეუზოვს. პირველმა მათგანმა თბილისელ გოგონებთან — ი. ამნიაშვილთან და ი. ჩუგუევსკაიასთან ბრძოლაში პირველი ადგილი გაინაღდა 100 მეტრზე „ბატერფლაით“ ცურვაში, მეორემ კი თბილისელ ა. ასათიანთან და ბ. ლეჟავასთან მცირე უპირატესობით მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში.

თბილისელ გოგონათა (ლ. ბერძენიშვილი, ლ. კრილოვა, ა. მორგუნენკო, ი. ამნიაშვილი) გუნდის გამარჯვებას ესტაფეტაში აფხაზეთის ჭაბუკთა გუნდმა (ჟ. კობეცკოი, ი. გიორგობიანი, დ. ზლობინი, გ. ჟირკოვი) რეკანშით უპასუხა და დიდი უპირატესობით მოუგო თბილისელებს.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში როგორც გოგონებს, ისე ჭაბუკებს შორის თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. წინასწარ გაცურვებში ჭაბუკთა შორის კარგ შედეგებს მიაღწიეს თბილისის I გუნდის წარმომადგენლებმა ჭაბუკებმა ს. პოსტოლოვმა და ს. პეტროსიანმა. გოგონებში ტოლი არ ჰყავდა თბილისელ მოსწავლეს ლ. კრილოვას, რომელმაც უახლოეს მეტოქეს — თანაგუნდელ ი. კულიკაიას 16 წამით გაასწო და პირველ თანრიგზე ბევრად უკეთესი შედეგით ფინალში მონაწილეობის უფლება გაინაღდა.

ᲑᲐᲖ. „ᲚᲔᲚᲬᲡ“ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: 100 მეტრზე მორბენალი გოგონები ფინიშთან.

შეჯიბრება მოიგეს ახალგაზრდებმა

გასულ შაბათს თელავში გაიხსნა ზონალური სპარტაკიადა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ 9 რაიონის გუნდები. საინტერესო ბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ს. ბორჩაშვილი (ახმეტა), ო. შაქარაშვილი (საგარეჯო), ვ. ჩიკვილაძე (თელავი), ლ. ბულკაშვილი (ახმეტა), ჭ. ჭინჭარაული (გურჯაანი), ბ. ბაღაკაშვილი (ახმეტა), ბ. თედეევი (ახმეტა), ო. გაურგაშვილი (ახმეტა). გუნდური პირველობა მოიპოვეს ახმეტელმა მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზეა თელავის, ხოლო მესამეზე — ლაგოდეხის გუნდი.

ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 გუნდი. აქედან მხოლოდ ლაგოდეხელებმა შეძლეს სავალდებულო ნორმატივის შესრულება და პირველი ადგილიც მათ ხვდათ წილად. ძალოსნობაში აშკარა იყო თელაველთა უპირატესობა, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი. სპორტის ამ სახეობაში ჩემპიონები გახდნენ: თ. დოლაქიშვილი, ბ. მაისურაძე (ორივე თელავიდან), ს. ტეპლიცკი (ლაგოდეხი), გ. ყურაშიძე (თელავი), გ. ჯავაშვილი (სიღნაღი), ლ. მესამბლიშვილი (თელავი), ლ. ჭუაძე (თელავი).

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ლაგოდეხის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. კალათბურთში როგორც ვაჟთა ისე ქალთა გუნდებში უძლიერესნი იყვნენ თელაველები.

Ი. ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐᲔᲣᲨᲕᲐ

დამთავრდა თბილისის მეორე საქალაქო სპარტაკიადა. თბილისელ სპორტსმენთა პროგრესზე ნათლად მეტყველებენ სპარტაკიადის შედეგები: მასში მონაწილეობდა 1746 სპორტსმენი, მათ შორის 211 — სპორტის დამსახურებული ოსტატი და სპორტის ოსტატი, 787 პირველთანრიგოსანი და 550 მეორეთანრიგოსანი. მონაწილეთაგან 11-მა სპორტსმენმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. სპარტაკიადის მსვლელობაში დამყარდა 7 ახალი რესპუბლიკური რეკორდი, რომელთაგან 2 ეკუთვნის ტყვიით მსროლელებს, 2 — ძალოსნებს და 3 — მძლეოსნებს. მოცურავეთა მიერ ნაჩვენები 2 შედეგი რესპუბლიკურ მილწევად ითვლება.

მონაწილეთა რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზეა „ბურევესტნიკი“ — 345 სპორტსმენი. გარდა ამისა, ამ სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სპარტაკიადის ყველა სახეობაში. განთიადელები გამოვიდნენ 22 სახეობაში, „დინამო“ — 20 სახეობაში, ხოლო „კოლმეურნე“ — 9 სახეობაში.

აღსანიშნავია, რომ სუსტად ჩატარდა შეჯიბრება მოტოსპორტში, ნიჩბოსნობასა და კრივში. მოტოსპორტსა და კრივში მხოლოდ „დინამო“, „განთიადმა“ და „ბურევესტნიკმა“ შეძლეს ქულების მოგროვება, ნიჩბოსნობაში კი „შრომითი რეზერვების“, „ბურევესტნიკისა“ და „განთიადის“ გარდა ვერცერთმა კოლექტივმა ვერ შეძლო ქულების მოპოვება.

საერთო პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა, რომლებმაც უძლიერესის სახელი დიმკვიდრეს თავისუფალ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობაში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში (ქალები).

მეორე ადგილზეა „განთიადი“, რომელმაც გაიმარჯვა კრივში, ქართულ ჭიდაობაში, წყალში ხტომაში, ჭადრაკსა და ფრენბურთში (ქალები).

დინამოელებმა პირველი ადგილები დაიკავეს წყალბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ჩოგბურთში, ძალოსნობასა და კალათბურთში (ვაჟები).

სპარტაკიადის საზეიმო დახურვა მოეწყო I ივნისს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. სპარტაკიადის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების თბილისის კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ბერიევი, რომელმაც გამარჯვებულ გუნდებს გადასცა ჯილდოები.

ᲓᲐᲛᲔᲖᲝᲑᲠᲔᲓᲜᲔᲚ

დიდი ხანია არაა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა თბილისის 88-ე და მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის საშუალო სკოლების მეგობრობას. მათ ერთმანეთს აღუთქვეს დახმარება სწავლასა და სპორტში. ამას წინათ გალავნელებს ეწვია თბილისელ მოსწავლეთა დელეგაცია, რომლებმაც მეგობრებს ჩაუტანეს კალათბურთისა და ფრენბურთის დანადგარები, ტანვარჯიშული ინვენტარი, ბურთები, სასწავლო ხელსაწყო და გამართეს კვირაობა.

არც გალავნელებს შეურცხვენიათ თავი. მათ თავიანთი თბილისელი ამხანაგებისათვის გამოუყვეს მიწის საცდელი ნაკვეთი, რომელსაც დაამუშავებენ მათთან ერთად.

Ი. ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◆

ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ

◆

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ

დიდი ხნის განმავლობაში პარპაშებდნენ ყბადაღებული ჩანკაიშელი „სპორტსმენები“ მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე, ხოლო დიდ ჩინეთს, სადაც სპორტი უდიდეს წინსვლას განიცდის და ხალხის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ემსახურება, ყოველმხრივ ავიწროებდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თუ ტაივანი? ეს საკითხი დიდი ხანია აღელვებდა პროგრესულ სპორტულ საზოგადოებრიობას, რომელიც არასწორად თვლიდა ტაივანის ყოფნას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. ამერიკელი საქმოსნების მხარდაჭერით ჩანკაიშელები გაცხოველებით ემზადებოდნენ რომის ოლიმპიური თამაშებისათვის. ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ ამას წინათ „სენსაციური“ ცნობაც კი გამოაქვეყნა: „ეროვნული ჩინეთი“ (ასე უწოდებენ აქ ჩანკაიშელთა ხროვას) მონაწილეობას მიიღებს რომის ოლიმპიურ და სკვო ველის ზამთრის თამაშებში. მიუნჰენში, სადაც ამას წინათ მოეწყო საერთაშორისო კომიტეტის მორიგი სესია, ტაივანის წარმომადგენელი ტან ძიუენ-კაი მაინცდამაინც კარგ გუნებაზე არ იყო, იგი თითქოს გრძნობდა დამარცხების მოახლოებას. ვინაიდან უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაძლიერდა მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ბრძოლა ტაივანის წინააღმდეგ. მას განსაკუთრებით არ ასვენებდა საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის მიმართვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი-სადმი, სადაც ჩვენი ქვეყანა კატეგორიულად მოითხოვდა ჩანკაიშელთა გარიცხვას ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობიდან.

ჩაიკაიშელებს ალბათ ეგონათ, რომ განმეორდებოდა ჩილის ისტორია, სადაც საბჭოთა და ბულგარელმა კალათბურთელებმა უარი განაცხადეს ტაივანის გუნდთან შეხვედრაზე და აქაც მოიგებდნენ მრგვალ მაგიდაზე გამართულ ბრძოლას.

მაგრამ ასე არ მოხდა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის წინადადება და გადაწყვიტა გარიცხოს ტაივანი თავისი რიგებიდან.

არ გამართლდა ამერიკელ და ჩანკაიშელთა „სპორტის მესვეურთა“ იმედები. გაიმარჯვა სამართლემ. ტან ძიუენ-კაიმ და ძალმა დამქაშებმა დამარცხებულებმა დატოვეს მიუნჰენი.



სურათზე: თბილისის სპორტული ნაწარმის ფაბრიკის ერთ-ერთი საამქროს უფროსი ს. მურადიანი სინჯავს ლ. ძიძიგურის მიერ დამზადებულ ბურთებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

1958 წელს რესპუბლიკაში მომზადებული იქნა 15.642 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 11.380 მსაჯი. ამის მიუხედავად ადგილებზე ფიზკულტურის კოლექტივები მაინც განიცდიან ამ დარგში დიდ ნაკლებობას. რესპუბლიკის ბევრი რაიონისა და ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მთელი მასობრივი მუშაობა ტარდება ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების ხარჯზე, რომლებიც, რა თქმა უნდა, ვერ სძლევენ ფიზკულტურასა და სპორტში გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამის გამო შეჯიბრებები ტარდება უინტერესოდ და დაბალი სპორტული მაჩვენებლებით.

საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში არსებული ხარვეზები უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ამ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით.

შემოწმებით გამოირკვა რომ რიგ სპორტულ საზოგადოებათა რაიონული საბჭოები ჯერ კიდევ („დინამო“, „განთიადი“, „სპარტაკი“) ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორების როლს მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაშლის საქმეში, არა აქვთ მათი ზუსტი აღრიცხვა.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარების მიზნით თავის მუშაობის ამ დარგში აიღო გაზრდილი ვალდებულებანი — 1965 წლისათვის მოამზადოს 30.000-მდე საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი, აგრეთვე 10.000-მდე საზოგადოებრივი ინსტრუქტორი საწარმოო ტანვარჯიშში. ყოველივე ეს ფიზკულტურის ყველა მუშაკს ავალებს მთელი სერიოზულობით მოკიდონ ხელი საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადებასა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საქმეს.

შ. კულულაშვილი

ᲐᲐᲒᲔᲡ ᲡᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲙᲝᲨᲙᲘ

სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ახლახან ქუთაისის აბრეშუმკომბინატის დირექციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყო 10 მეტრის სიმაღლის წყალში სახტომი კოშკი.

საქართველოს სსრ სპარტაკიადის ღირსეულად შეხვედრისათვის ამჟამად საცურაო აუზში საწვრთნელ ვარჯიშს გადიან კომბინატისა და ქალაქის მოცურავეთა ნაკრები გუნდები.

ი. ბუხაიძე

სურათზე: თბილისის სპარტაკიადაში გამარჯვებული ბ. პოლულიახი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის დროს.

ფოტო ვ. ინწკირველისა.

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲒᲐ

დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური გათამაშება ზონებში, რის შედეგად ფინალში გავიდნენ თბილისის I და II, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ზუგდიდის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები. ფინალის მონაწილენი დაყოფილი არიან 2 ქვეჯგუფად.

დაიწყო ფინალური მატჩები ქვეჯგუფებში. საინტერესო გამოდგა აჭარისა და თბილისის I გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 0:0. აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა მატჩის დასასრულს ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო. თბილისის II და აფხაზეთის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:2.

უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა სამხრეთ ოსეთისა და ზუგდიდის გუნდების შეხვედრა, ხოლო ქუთაისელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს რუსთავის გუნდი.

ლოდ. გაფრინდაშვილმა კარგად გათამაშებული დებიუტის შემდეგ ვერ აირჩია პოზიციის შესაბამისი გეგმა და თურქესტანიშვილი რამდენიმე ენერგიული სვლით მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. მოჭადრაკე ქალმა დაცვაში დაარღვია ფიგურათა კოორდინაცია და დანებდა.

შეუპოვრად მიიწევს წინ გამრეკელი. მისი შეხვედრა ბრეიტმანთან პოზიციურ ხასიათს ატარებდა. აფხაზეთის ჩემპიონს ერთბაშად სურდა გამოეყენებინა გამრეკელის გამხლოლებული პაიკის სისუსტე, რისთვისაც მან თავისი მეფის ფრთაც კი დაასუსტა. გამრეკელმა მოხდენილი თამაშით მოიგო ფიგურა და ბრეიტმანი დანებდა. მხოლოდ 11 სვლა გაგრძელდა ჯანოევი-წერეთლის პარტია. წერეთელმა ანეგდოტურად დაეჭერინა ჯანოევს საკუთარი ლაზიერი, რაც ყოვლად შეუფერებელია მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკისათვის.

ვეტოხინს რეალური შანსები აქვს მოხვდეს პრიზიორებში და ალბათ ამიტომ შესამჩნევად ღელავს. მეგრელიშვილთან მან მოსაგები პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ უხეშად შეცდა, წააგო ფიგურა და პარტიაც. ყაიმით დამთავრდა ჭანტურია-იზვოზჩიკოვის შეხვედრა.

XIV ტურში ყაიმით დამთავრდა მაჭავარიან-ბლაგიძისა და ბუსლაევ გიორგაძის პარტიები. კვლავ მიაღწია წარმატებას შიშოვმა. მან კარგად უარყო ბრეიტმანის ღრმად გააზრებული სისტემა ძველინდურ დაცვაში და ხაზების გახსნის შემდეგ მთელი ძალებით შეუტია მოწინააღმდეგის მეფეს. კომბინაციური თავდასხმა დამთავრდა აფხაზეთის ჩემპიონის კაპიტულაციით. ლომაიამ ინგლისურ დაცვაში დაამარცხა ვეტოხინის ფიგურათა განვითარება. ბოლოს, როცა ვეტოხინმა შეძლო ლაზიერების გაცვლით მდგომარეობის განმუხტვა, იგი შეცდა. ლომაიამ ეტლში მოიგო ორი ფიგურა. მაგრამ ვეტოხინი დანებდა.

ზუგდიდელი დემურია საშშია თუ მას აქვს იერიშის შესაძლებლობა და ფლობს ინიციატივას. თურქესტანიშვილი მის წინააღმდეგ ყარაულად ძლიერ ადრე მიმავალ თამაშობდა, მაგრამ საკმარისი იყო ერთი შეცდომა დაცვაში და დემურიამ შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. გურგენიძეს ჭანტურიასთან პოზიციური უპირატესობა აქვს, ხოლო მეგრელიშვილს ჯანოევთან — მატერიალური, თანაბარ პოზიციაშია შეწყვეტილი წერეთელ-გამრეკელის პარტია, გაფრინდაშვილს იზვოზჩიკოვთან მხედარი აქვს სამ პიკში.

XIV ტურის შემდეგ გურგენიძეს 10 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, ბუსლაევს — 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია, შიშოვს — 8,5 ქულა, მაჭავარიანს — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გიორგაძესა და ჯანოევს — 7 ქულა თვითეულს და თითო გადადებული პარტია, ვეტოხინს 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გამრეკელს — 6,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, ბლაგიძეს — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.



შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ქობულეთის „კოლმეურნემ“ თავის მინდორზე მიიღო ჭიათურის „მაღაროელი“. 90-წუთიან ბრძოლას გამარჯვებული არ გამოუვლენია — 1:1.

სტალინირში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდი. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმრებმა გაიტანეს „სპარტაკის“ კარში — 1:0.

იგივე ანგარიში იქნა ფიქსირებული ბათუმში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ტყიბულის „შახტიორი“. გამარჯვება მოიპოვეს დინამოელებმა.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „დინამოსა“ და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ფოთის „განთიადს“ თავისი მორიგი მატჩი ჰქონდა მახარაძეში „კოლმეურნის“ წინააღმდეგ. თამაში დამთავრდა უშედეგოდ—0:0.

რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „სხივი“ და სამტრედიის რკინიგზელთა კოლექტივი. პირველ ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა, მაგრამ თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმების გამო ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმში ლოკომოტიველებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება.

საინტერესო გამოდგა მატჩი ჭიათურაში ადგილობრივ „მაღაროელსა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს (თბილისი) შორის. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე ტაიმში სტუდენტებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს — 2:1.

ლანჩხუთში თამაშობდნენ „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი)-„სპარტაკი“ (ცხაკაია). უფრო გამოცდილმა ლანჩხუთელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

მორიგი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში ქუთაისის „იმერეთმა“, რომელმაც დაამარცხა სოხუმის „დინამო“ — 3:1.

ᲑᲐᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

III ᲖᲝᲜᲐ

მდგომარეობა 4 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ერევანი)	9	8	1	0	19:4	17
სკვო (თბილისი)	9	6	1	2	25:12	13
„სპარტაკი“ (სტავროპ.)	9	6	0	3	11:6	12
„თერგი“ (გროზნო)	10	4	4	2	11:9	12
„ტორპედო“ (ტაგანრ.)	9	5	1	3	14:11	11
„უუბანი“ (კრასნ.)	9	3	3	3	13:10	9
„ტორპედო“ (ქუთაისი)	9	3	3	3	12:11	9
„შირაქი“ (ლენინაკ.)	10	4	1	5	14:14	9
„როსტსელმაში“ (როსტოვი)	9	3	2	4	13:15	8
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	9	3	2	4	14:17	8
„ტემპი“ (მახაჩყალა)	10	2	3	5	9:15	7
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	9	2	2	5	8:15	6
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	9	2	2	5	4:15	6
„ტექსტილშჩიკი“ (კიროვაბ.)	10	1	1	8	8:21	3

ᲛᲐᲭᲩᲔᲑᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ

მოგვყავს „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მატჩები ივნისში.

6. „მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„დინამო“ (თბილისი).

7. „შახტიორი“ (სტალინო)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

8. ცსკ მო-„სპარტაკი“ (მოსკოვი), სკვო (როსტოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი).

14. „ტორპედო“ (მოსკოვი)-„შახტიორი“ (სტალინო), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი).

15. ცსკ მო-„დინამო“ (თბილისი).

16. „დინამო“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

19. „დინამო“ (თბილისი)-„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

20. სკვო (როსტოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„ტორპედო“ (მოსკოვი).

21. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი).

კალენდრით გათვალისწინებულია თბილისის „დინამოს“ ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი 11 და 23 ივნისს.



ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფო - პოლიკლინიკის სპორტის მოყვარულთა ინიციატივით ჩამოყალიბდა საჭადრაკო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ო. შავლაძე. წრის წევრები სისტემატურად მეცადინეობენ, ეცნობიან ოსტატთა პარტიებს და საუკეთესო მოჭადრაკეთა სპორტულ გამოსვლებს.

სექცია მუშაობს

ამას წინათ გაიმართა საავადმყოფოს პირველობა. ორკვირიანმა დაძაბულმა ბრძოლამ ვერ გამოავლინა ჩემპიონი. პირველი სამი ადგილი გაიყვეს ექიმებმა დ. ჩხიკვაძემ, ვ. ხუჯაძემ და გ. გიორგაძემ. ახლა სექციის წევრები ემზადებიან ქუთაისის რკინიგზის საკვანძო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

შ. ოდიკაძე

სურათზე: მარცხნიდან — კ. ბაბუხადია და ო. შავლაძე თამაშის დროს.

ფოტო ი. სახელაშვილისა.

სამეცნიერო სესია

19-20 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის „განსაკურთხებელ შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოქვეყნების 50 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ვ. ი ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოსვლის ისტორიული ვითარება“ (მომხსენებელი ი. მამულაშვილი), „ლენინური მოძღვრება ობიექტური, აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების შესახებ“ (გ. ჯოლოხავა), „ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია და ი. პ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ“ (დ. მაჭარაშვილი), „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ვ. ი. ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ (გ. ასათიანი), „ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპი ვ. ი. ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და ბრძოლა თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ“ (თ. ნანობაშვილი), „მეცნიერული ათეიზმის საკითხები ვ. ი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ მიხედვით“ (ლ. შუბლაძე).

სესიამ მაღალ დონეზე ჩაიარა.

ა. ციბაძე

გაიმარჯვეს სტუმრებმა

7 ოსტატი სტუმართა შორის და 1 მასპინძლებში — ძალთა ასეთი თანაფარდობა დასაწყისიდანვე კარგს არაფერს უქადდა განთიადელ აკრობატებს, მაგრამ სამაგიეროდ, მათ საშუალება ეძლეოდათ თავისი ძალები ხარკოვის „ავანგარდის“ სპორტსმენებთან გამოეცადათ საქალაქთაშორისო მატჩში, რომელიც „განთიადის“ სპორტდარბაზში ჩატარდა.

ვაჟთა ხტომებში მასპინძლები იმედს ამყარებდნენ სპორტის ოსტატ ვ. ლიტვინოვზე, რომელმაც სავსებით გაამართლა მასზე დაკისრებული ამოცანა და გამოცდილ მეტოქეებთან ვ. ჟურავლიოვთან და ლ. კრივიხთან ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწია როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერ ვარჯიშებში. მან მოაგროვა 75,95 ქულა.

ხარკოველებმა ვ. მაკარევიჩმა და ნ. გორიაჩკოვსკაიამ გაიმარჯვეს სავალდებულო და ნებისმიერ ხტომებში ქალთა შორის (73,8 და 73,65). თბილისელი ნ. დუნდუას (ერთადერთი მონაწილე თბილისელთაგან) შედეგია 67,75.

ქალთა წყვილებში სტუმრებს მონაწილენი არ გამოუყვანიათ და თბილისელები ნ. ლივარდი და ლ. ჯოჯუა კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ.

ვაჟთა ძალისმიერი წყვილებიდან უპირატესობა განთიადელებმა ა. ოგანეზოვმა და თ. ხუდოევმა მოიპოვეს — 145,8 ქულა.

სტუმართა ოთხეულმა (ვ. კოლესნიკი, ვ. კოლესნიკი, ვ. გორინი, რ. ფუქსი), შესანიშნავად შესრულა ვარჯიშები და ყველა მოძღვაობის ჯამში 295,8 ქულა დაგროვა. განთიადელები (ნ. მიქაელიანი, შ. ამონიშვილი, ი. მოქია, რ. სიმონიანი), რომლებიც პირველი თანრიგის პროგრამით გამოდიოდნენ, 286,55 ქულით მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ზ. სამსონაძე

რედაქტორი ი. უგულავა

ა. ცამციშვილი

„კომეტა“

თუ რას წარმოადგენდა „კომეტის“ წესდება, თუ რა კურიოზულ, უცნაურ მუხლებს შეიცავდა იგი და როგორ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ფეხბურთის თამაში თბილისში, მკითხველი ნათლად დაინახავს „კომეტის“ წესდებიდან, რომელიც 40 მუხლიდან შედგება. აქ მოგვყავს ზოგიერთი მათგანი.

1. წრის მიზანი. მუხ. 1. ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა თბილისის წრე მიზნად ისახავს: ა) თავის წევრებს საშუალება მისცეს თავისუფალ დროს ითამაშონ ფეხბურთი, ბ) ხელი შეუწყოს ფეხბურთის გავრცელებას თბილისის მოსახლეობაში, გ) სპორტის ინტერესებისათვის ამ თამაშის მოყვარულებს მისცეს უფრო მჭიდრო ურთიერთობის საშუალება.

მუხ. 2. წრეს უფლება ეძლევა: ა) მოაწყოს ყველაფერი, რაც აუცილებელია ამ თამაშისათვის დაქირავებულ ან საკუთარ მოედანზე, თუ ამის საშუალებას იძლევა წრის სახსრები, ბ) მოაწყოს საჯარო შეჯიბრებები.

შენიშვნა: საზოგადოებას შეუძლია მოაწყოს ქალაქსა ან მის გარეუბნებში საჯარო შეჯიბრებები გარეშე მაყურებლების დასწრებით და განსაკუთრებული საფასურის გადახდევინებით, მაგრამ ისე, რომ ამ საქმეში დაცული იქნას მოქმედი კანონის ყველა წესი და მთავრობის განკარგულებანი.

წესდების მეორე თავში განსაზღვრულია წრის შემადგენლობა. მესამე მუხლი წრის წევრებს ყოფს საპატიო და ნამდვილ წევრებად, მოთამაშეებად და გარეშე მოსიარულეებად. მეოთხე მუხლის ძალით საერთო კრებას უფლება ეძლეოდა საპატიო წევრებად აერჩია ის პირნი, რომლებიც განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევენ წრეს და ვინც ცნობილი იყო თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით სპორტის რომელიმე სახეობაში. მე-5 მუხლში ვკითხულობთ, რომ ნამდვილ წევრებად შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ არაუმცირეს 21 წლის, მამრობითი სქესის პირები, რომლებიც წრის სალაროში ერთდროულად შეიტანენ სულ ცოტა 100 მანეთს ან ყოველწლიურ საწევრო ანარიცხებს ორმაგად. შემდგომ მუხლებში ვკითხულობთ, რომ წრის წევრად არ შეიძლება იყვნენ:

ა) სასწავლებლის მოსწავლენი,

ბ) ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი დაბალი ჩინის სამხედრონი,

გ) სასამართლოს მიერ უფლებაშეზღუდული პირები.

შემდეგ მოცემულია წრის წევრებისა და გარეშე მოსიარულეთა არჩევის წესები. მეცხრე მუხლის ძალით წრის ნამდვილ წევრებად ან მოთამაშეებად მსურველები მიიღებოდნენ წრის ორი ნამდვილი წევრის რეკომენდაციით. წრის კომიტეტი, რომელიც შეაგროვებდა ცნობებს რეკომენდებულის შესახებ, ჩარიცხავდა მას კანდიდატად და პირველივე სხდომაზე ირჩევდა წევრად.

„კომეტის“ წესდების მეოთხე თავში ჩამოთვლილია წევრებისა და გარეშე მოსიარულეთა უფლება-მოვალეობანი, წევრები ხმის უფლებით სარგებლობდნენ მიღებიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ. ნამდვილი წევრები ვალდებული იყვნენ ერთდროულად გადაეხადათ 3 მანეთი და ყოველწლიურად 6 მანეთი ორჯერად საწევრო ანარიცხის სახით. ვინც დროულად არ გადაიხდიდა საწევროს, გაირიცხებოდა წრიდან და კარგავდა წვრთნასა თუ თამაშებზე დასწრების უფლებას. განმეორებით შესვლისას წევრს ჯარიმის სახით კვლავ უნდა გადაეხადა ერთდროული გამოსაღები. საპატიო წევრები სარგებლობდნენ ნამდვილი წევრების ყველა უფლებებით და ამავე დროს ყოველგვარი სავალდებულო ფულადი გამოსაღებიდან თავისუფლდებოდნენ.

წესდებაში გათვალისწინებულია წრის ფინანსები, საშემოსავლო წყაროები და სხვადასხვა ხარჯები.

წესდების დამტკიცების გარდა თანახმად მაშინდელი წესისა, თბილისის ფეხბურთელთა გუნდის „კომეტის“ შექმნის შესახებ გუბერნიის კანცელარიის მმართველმა სენატის კანცელარიასა და გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას 9 მარტს ოფიციალური მიმართვით გადაუგზავნა პრესაში გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი, რომელიც საზოგადოებას აუწყებდა ახალი სპორტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, მთელ რიგ ზემდგომ ინსტანციებში გაწურვისა და ვრცელი პროცედურის შემდეგ, როგორც იქნა 1907 წლის 23 თებერვალს დაკანონდა „კომეტა“ და ამ დღიდან თბილისში გაჩნდა პირველი ოფიციალური ფეხბურთის გუნდი, რომელსაც ჰქონდა თავისი ფორმა, სახსრები, მოედანი და წესდება.

(დასასრული იქნება)

* * *

თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის ფეხბურთელთა გუნდი, 1912 წ.

სურათზე: მარცხნიდან — გ. ჩიკვაიძე, დ. დიაჩენკო, ი. გორინი, ვ. დოლიძე, გ. შმატკოვი, გ. შიოშვილი, ი. ოსიპოვი, წევს ს. როდნოვი.

დასაწყისი. იხ. „ლელო“ № 64, 65.

მსოფლიოს მცირე ჩემპიონაჟი

ფეხბურთის ალბომი

ა ბ ბ ე ბ ი

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მოპოვებული წარმატების შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მოაწყოს ე. წ. „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“, რომელიც უნდა ჩატარდეს მომავალი წლის ზაფხულში არგენტინის დამოუკიდებლობის გამოცხადების 150 წლისთავთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გუნდები. ევროპიდან განზრახულია სსრ კავშირის, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, უნგრეთისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების მოწვევა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არგენტინელები არ იწვევენ არც მსოფლიო ექს-ჩემპიონს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს, არც უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორს — შვედებს, ვინაიდან ისინი არ მიაჩნიათ ჭეშმარიტად უძლიერეს გუნდებად. ასეთ არჩევას არგენტინელთა აზრით ბევრი დადებითი თვისება აქვს, რადგან ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის გუნდები, რომლებსაც სტაბილური შედეგები აქვთ.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს თხოვნით მიმართოს ფიფა-ს სანქციისათვის, მაგრამ არგენტინელებს დაასწრეს ჩილელებმა. მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარემ კარლოს დიტბორნმა (ჩილი) განაცხადა, რომ „ფიფა-მ არ უნდა დაუშვას ამგვარი შეჯიბრება არგენტინაში, ვინაიდან იგი შეანელებს ინტერესს VII მსოფლიო ჩემპიონატისადმი.

იშვიათი რეკორდი

შოტლანდიის ჩემპიონატი ფეხბურთში ეწყობა ყოველწლიურად 1890 წლიდან. როგორც წესი, ბრძოლა პირველი ადგილისათვის მიმდინარეობს ორ მოწინავე კლუბს „გლაზგო რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის. მხოლოდ უკანასკნელი წლების მანძილზე უწევდნენ მათ კონკურენციას „ებერდინი“, „ჰარტ ოფ მიდლოტიენი“ და „ჰიბერნიანი“.

ამას წინათ დამთავრდა შოტლანდიის მორიგი, 1958-59 წლების ჩემპიონატი. „გლაზგო რეინჯერსმა“ 31-ჯერ (!) მოიპოვა ჩემპიონობა. ეს მეტად იშვიათი და თავისებური რეკორდია ფეხბურთის ისტორიაში.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ყლბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.